



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს თავმჯდომარე**



ბრძანება:ბ49. 49240172

თარიღი:17/01/2024

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე რიგი საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 18 იანვარს, 13:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:
  1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
  2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული განპიროვნებული და სამორიგეო ავტომობილებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N36 146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
  3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
  4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.14.34.284) განთავსებული 42 კვ.მ. ფართის სანოტარო საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

